ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.06.2013

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 010/13

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ არ არის ადვოკატსა და კლიენტს შორის შეთანხმებული ჰონორარის ოდენობა და საქმის მოგების შემდეგ ადვოკატი საადვოკატო მომსახურებისთვის კლიენტს მოსთხოვს მოგებული საქმის 25 პროცენტის გადახდას, დაირღვევა თუ არა ადვოკატის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები, მაშინ როდესაც კლიენტმა სხვა იურისტებთან კონსულტაციისას გაარკვია, რომ ასეთი საქმის მოგებისას, მხოლოდ საქმის მოგების 10 პროცენტის გადახდა ადვოკატისთვის საკმარისი იქნებოდა.

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი: „ადვოკატის ანაზღაურების გამოთვლის წესი და შესაბამისი განაკვეთი წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის".

საადვოკატო მომსახურების დაწყების მომენტიდან ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება, როგორც მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ, ასევე საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობის, გამოთვლის წესის, გადახდის ფორმისა და ვადების თაობაზე.

ადვოკატი უფლებამოსილია კლიენტს შეუთანხმდეს პირობით ანაზღაურებაზე. განსახილველ შემთხვევაში, საქმის წარმატებით დასრულების შემდეგ, მოგებული თანხის 25 პროცენტის მოთხოვნა ადვოკატის მიერ შესაძლებელი იქნებოდა, თუ აღნიშნულთან დაკავშირებით შეუთანხმდებოდა კლიენტს წინასწარ. რეკომენდირებულია, რომ ადვოკატის მომსახურების ოდენობა კონკრეტული საქმის სპეციფიკიდან გამომდინარეობდეს, რომელიც მისაღები უნდა იყოს კლიენტისათვის.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ შეუთანხმდებოდა წინასწარ კლიენტს, რომ საქმის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მოგებული თანხის 25 პროცენტი იქნებოდა ჰონორარის ოდენობა, ადვოკატის მიერ დაირღვეოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-8 ნაწილი. საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების ოდენობა, გამოთვლის წესი, გადახდის ფორმა და ვადები წინასწარ უნდა იყოს ცნობილი და მისაღები კლიენტისათვის .

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.